

**„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. წინა წლის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	16
6. ბიზნეს კომბინაცია საანგარიშგებო წლის განმავლობაში	17
7. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება	19
8. ძირითადი საშუალებები	20
9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	21
10. არამატერიალური აქტივები	22
11. გუდვილი	23
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
13. ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	25
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
15. საწესდებო კაპიტალი	25
16. არამაკონტროლებელი წილი	25
17. მიღებული სესხები	26
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
19. შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან	27
20. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	27
21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	27
22. მარკეტინგული ხარჯები	28
23. სხვა ხარჯები	28
24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	28
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	30

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	42
--	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ (მანამდე ცნობილი როგორც - შპს თიბისი ინტერნეშენალი) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვეყონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და გინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვაცქეს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას რომ, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი, 2021

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,986,368	2,221,975
აქტივის გამოყენების უფლება	9	516,649	930,381
არამატერიალური აქტივები	10	9,110,036	6,223,622
გუდვილი	11	16,020,533	16,286,827
		27,633,586	25,662,805
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		81,791	73,435
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,588,020	2,143,972
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	13	793,138	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,278,151	3,898,270
		4,741,100	6,115,677
სულ აქტივები		32,374,686	31,778,482
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	40,496,051	32,873,467
დაგროვილი ზარალი		(15,036,718)	(9,044,156)
		25,459,333	23,829,311
არამაკონტროლებელი წილი	16	2,771,671	2,710,872
სულ კაპიტალი		28,231,004	26,540,183
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	355,322	702,753
		355,322	702,753
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	500,841	-
საგადასახადო ვალდებულება		915,874	668,856
საიჯარო ვალდებულებები	9	291,982	307,247
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	2,079,663	3,559,443
		3,788,360	4,535,546
სულ ვალდებულებები		4,143,682	5,238,299
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,374,686	31,778,482

(*) გადაანგარიშებული - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 1 ოქტომბერს ჯგუფის დირექტორის მიერ:

დირექტორი



გიორგი ჩუმაშვილი

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან	19	13,001,433	6,466,031
სულ შემოსავალი		13,001,433	6,466,031
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	20	(11,677,997)	(6,229,686)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(2,846,487)	(1,620,213)
მარკეტინგული ხარჯები	22	(1,903,670)	(2,709,996)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,519,777)	(1,018,378)
სხვა ხარჯები	23	(354,728)	-
საოპერაციო ზარალი		(5,301,226)	(5,112,242)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(44,398)	(17,142)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(58,083)	(54,962)
წმინდა ზარალი დაბეგვრამდე		(5,403,707)	(5,184,346)
მოგების გადასახადის ხარჯი		(112,326)	(118,627)
სრული ზარალი		(5,516,033)	(5,302,973)
სრული მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული:			
მფლობელისთვის		(5,426,651)	(5,361,593)
არამაკონტროლებელი წილისთვის		(89,382)	58,620

(*) გადაანგარიშებული - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მიკუთვნებული კაპიტალი	არამაკონტრო- ლებელი წილი	სულ კაპიტალი
შვილობილი კომპანიების შეძენა	-	-	-	2,438,043	2,438,043
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	-	189,181	189,181
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების შეძენა	-	(3,075,069)	(3,075,069)	25,028	(3,050,041)
ოპერაციები მფლობელთან (შენიშვნა 25)	-	(607,493)	(607,493)	-	(607,493)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	32,873,467	-	32,873,467	-	32,873,467
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	(5,361,594)	(5,361,594)	58,620	(5,302,974)
31 დეკემბერი 2019*	32,873,467	(9,044,156)	23,829,311	2,710,872	26,540,183
დივიდენდები	-	-	-	(142,393)	(142,393)
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	-	39,333	39,333
არამაკონტროლებელი წილის შეძენა	-	(253,241)	(253,241)	253,241	-
ოპერაციები მფლობელთან (შენიშვნა 25)	-	(312,670)	(312,670)	-	(312,670)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	7,622,584	-	7,622,584	-	7,622,584
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	(5,426,651)	(5,426,651)	(89,382)	(5,516,033)
31 დეკემბერი 2020	40,496,051	(15,036,718)	25,459,333	2,771,671	28,231,004

(*) გადაანგარიშებული - დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(5,403,707)	(5,184,346)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,519,777	1,018,378
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება	12	76,501	59,003
წმინდა ცვლილება ანარიცხებში		-	82,166
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	23	266,294	-
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	8	146,946	-
წმინდა საპროცენტო ხარჯი		44,398	17,142
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		58,083	54,962
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ		(3,291,708)	(3,952,695)
კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები		(8,356)	511,448
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(507,731)	(738,534)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(1,204,908)	1,495,777
საგადასახადო ვალდებულება		230,778	(126,978)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(4,781,925)	(2,810,982)
მიღებული პროცენტი		78,752	58,426
გადახდილი პროცენტი		(146,749)	(75,568)
გადახდილი მოგების გადასახადი		(112,326)	(40,775)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		(4,962,248)	(2,868,899)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(347,610)	(818,037)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები		29,580	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(3,655,204)	(1,253,115)
შვილობილი კომპანიების შეძენა		-	(18,206,856)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხების წმინდა ცვლილება		(793,138)	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების შეძენა		-	(4,012,511)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,766,372)	(24,290,519)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		930,000	-
სესხების დაფარვა		(429,159)	-
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(339,570)	(198,864)
არამაკონტროლებელი წილის კაპიტალის ზრდა		39,333	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		7,622,584	32,873,467
ოპერაციები მფლობელთან		(312,670)	(607,493)
არამაკონტროლებელ წილზე გადახდილი დივიდენდები		(417,265)	(1,000,000)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		7,093,253	31,067,110
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(2,635,367)	3,907,692
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		3,898,270	-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში		15,248	(9,422)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		1,278,151	3,898,270

10-41 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ (2020 წლის 1 სექტემბრამდე ცნობილი როგორც - „შპს თიბისი ინტერნეიშენალი“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად - „თიბისი ეკოსისტემ კომპანის ჯგუფი“ ან „ჯგუფი“) 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

შპს „თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ (შემდგომში - „მშობელი კომპანია“) დაარსდა 2019 წლის 4 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 402116474.

მშობელი კომპანია მართავს ჯგუფში შემავალ კომპანიებს. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება, სარეკლამო და სხვადასხვა მარკეტინგული მომსახურებები.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი არის TBC BANK GROUP PLC. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

მშობელი კომპანია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციებს ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებში:

კომპანიის სახელი	წილი (%) 2020	წილი (%) 2019	დარგი
შპს ოლ ფროფერტი ჯი	90%	90%	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება
შპს ონლაინ თიქეტსი: - Online Tickets LLC	55% 75%*	55% 75%*	ელექტრონული ვაჭრობა ელექტრონული ვაჭრობა
შპს ევ სოლუშენი	100%	100%	ვალუტის გადამცვლელი პუნქტების პროგრამული მომსახურება
შპს მაი.ჯი	65%	65%	ონლაინ სერვისების პლატფორმა
შპს ჩემი ფოსტა	100%	100%*	საფოსტო-საკურიერო მომსახურება
შპს თიბისი კონექტი**	100%	-	არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას
შპს ბილინგ სოლუშენს	51%	51%	არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას
სს სვეუპი	100%	100%	ელექტრონული ვაჭრობა
შპს ვენდუ	100%	100%	ელექტრონული ვაჭრობა

(*) წილობრივი მჩვენებელი ასახავს შპს ონლაინ თიქეტსისა და შპს მაი.ჯის მონაწილეობას შვილობილი კომპანიების კაპიტალში.

(**) 2020 წლის 17 აგვისტოს მშობელმა კომპანიამ დააფუძნა ახალი კომპანია შპს თიბისი კონექტი. კომპანიის მომსახურება გულისხმობს მომხმარებლის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე პარტნიორი კომპანიების პლატფორმებზე მომხმარებლის ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას მომხმარებლისთვის საინტერესო და მასზე მორგებული მომსახურების ან/და პროდუქტის შეთავაზების, აგრეთვე მასთან კომუნიკაციის მიზნით. 2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ახორციელებდა საოპერაციო საქმიანობას.

ზემოთ მოცემული ყველა კომპანიის რეგისტრაციისა და საქმიანობის ადგილია საქართველო, გარდა Online Tickets LLC-სა, რომელიც რეგისტრირებულია უზბეკეთში.

2020 წლის თებერვალში მშობელმა კომპანიამ უზბეკეთში დაარსა TBC SUPPORT LLC (UZ), რომლის დაფუძნების მიზანიც იყო უზბეკეთში თიბისი ბანკის დაარსებაში მხარდაჭერა. 2020 წლის დეკემბერში მოხდა კომპანიის ლიკვიდაცია.

2020 წლის 1 აგვისტოს მშობელი კომპანია, შპს ჩემი ფოსტა 100%-იანი წილი მფლობელი გახდა.

2020 წლის 18 აგვისტოს შეიცვალა მშობელი კომპანიის დირექტორი და გიორგი გოგშელიძე ჩაანაცვლა ამირან შეროზიამ.

მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, მარჯანიშვილის ქუჩა, N 7.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონიერული სააღრიცხვო შეფასება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19-ის პანდემიის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19 პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობის მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. ჯგუფის შვილობილ კომპანია შპს ონლაინ თიქეტზე პანდემიას ჰქონდა უარყოფითი გავლენა, რადგან დაწესებული შეზღუდვების გამო არ ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები. თუმცა, 2020 წელს პანდემიის პერიოდში ონლაინ გაყიდვებისა და ეკოსისტემის გარემოს პოპულარიზაციის შედეგად, ჯგუფს მნიშვნელოვნად გაეზარდა მთლიანი შემოსავალი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არსებული ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 5,441,916 ლარი და ამ თარიღისათვის მას აქვს 14,988,542 ლარის დაგროვილი ზარალი. ასევე, ჯგუფს უფიქსირდება 4,962,248 ლარის უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, რადგან დამფუძნებელი კომპანია თანახმაა, საჭიროების შემთხვევაში, განაგრძოს ჯგუფის ფინანსური დახმარება და არ მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა იმგვარად, რომ საფრთხე შეუქმნას ჯგუფის ლიკვიდურობასა და მომავალ საოპერაციო საქმიანობას. დამფუძნებლის მხრიდან ჯგუფის ფინანსურად მდგრადი განვითარებისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერა დემონსტრირებულია საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანებით (დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-15 და 26-ე განმარტებით შენიშვნებში). 2020 წლის 31 ივნისის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს დადებითი კაპიტალი 28,305,121 ლარის ოდენობით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფს:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს

ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, ჯგუფის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ჯგუფის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზეგვასთან შედარებით;
- ჯგუფის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფი იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც ჯგუფის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შედავითები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფმა გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა IASB-ის მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ესენია:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოხალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესული ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალი ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

ჯგუფი არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,432,834	1,187,611
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	793,138	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,273,817	3,874,064
	3,499,789	5,061,675

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფის მიერ შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	518,389	-	518,389
საიჯარო ვალდებულებები	339,665	447,661	787,326
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,760,320	-	1,760,320
	2,618,374	447,661	3,066,035

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	307,247	860,763	1,168,010
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,817,537	-	2,817,537
	3,124,784	860,763	3,985,547

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,432,834	-	-	1,432,834
ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები	793,138	-	-	793,138
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,035,069	235,128	3,620	1,273,817
	3,261,041	235,128	3,620	3,499,789
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	500,841	-	-	500,841
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,717,729	42,591	-	1,760,320
საიჯარო ვალდებულება	47,832	599,472	-	647,304
	2,266,402	642,063	-	2,908,465
ღია საბალანსო პოზიცია	994,639	(406,935)	3,620	591,324

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	სხვა	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,186,221	1,390	-	1,187,611
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,379,245	456,941	37,878	3,874,064
	4,565,466	458,331	37,878	5,061,675
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	300,463	709,537	-	1,010,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,712,079	105,458	-	2,817,537
	3,012,542	814,995	-	3,827,537
ღია საბალანსო პოზიცია	1,552,924	(356,664)	37,878	1,234,138

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / სხვა	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / სხვა
20% ზრდა	(81,387)	724	(71,333)	7,576
20% კლება	81,387	(724)	71,333	(7,576)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზნულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

5. წინა წლის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფმა შეასწორა შეცდომები და ასევე, წარდგენის მიზნებისთვის განახორციელა რეკლასიფიკაციები:

	გადაანგარიშებ ამდე	კორექტირება	რეკლასი ფიკაცია	გადაანგარიშებ ული
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება				
არამატერიალური აქტივები	6,150,418	73,204	-	6,223,622
მარაგები*	1,654,747	(1,581,312)	-	73,435
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,276,426	(132,454)	-	2,143,972
გაუნაწილებელი მოგება	(8,987,036)	(57,120)	-	(9,044,156)
საგადასახადო ვალდებულება	772,085	(103,229)	-	668,856
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*	5,039,656	(1,480,213)	-	3,559,443
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება				
შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან*	8,669,870	(2,203,839)	-	6,466,031
საქონლის რეალიზაციის თვითღირებულება*	(2,475,172)	2,409,232	65,940	-
მარკეტინგული ხარჯები	(2,540,606)	(169,390)	-	(2,709,996)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(6,302,890)	73,204	-	(6,229,686)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,554,273)	-	(65,940)	(1,620,213)

(*) - ჯგუფი რიგ შემთხვევებში წარმოადგენს რწმუნებულს და მისი შესასრულებელი ვალდებულება გულისხმობს სხვა მხარისგან მიღებული შეთანხმებული საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების ორგანიზებას. გადაანგარიშებამდე, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მთლიანი თანხით ჰქონდა აღიარებული ამონაგები და შესაბამისი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. ასევე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ჰქონდა მარაგები და შესაბამისი სავაჭრო ვალდებულებები.

ფასს 15-ის მიხედვით, რწმუნებულმა შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ამონაგები უნდა აღიაროს იმ საკომისიოს ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც მოელის იმის სანაცვლოდ, რომ ორგანიზებას უკეთებს სხვა მხარისგან მისაღები შეთანხმებული საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემას. აღნიშნული საკომისიო უნდა იყოს ანაზღაურების ნეტო თანხა, რომელსაც ჯგუფი იტოვებს მას შემდეგ, რაც სხვა მხარეს გადაუხდის მისი საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებას. ჯგუფის აღრიცხვის ფას-ების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება აღიარა ნეტო საფუძველზე. ასევე, შეასწორა და შეამცირა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული მარაგები და შესაბამისი სავაჭრო ვალდებულებები.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ბიზნეს კომბინაცია საანგარიშგებო წლის განმავლობაში

2019 წლის 22 აგვისტოს შშობელმა კომპანიამ დაასრულა შპს მაი.ჯის შესყიდვის პროცესი, რომელიც წარმოადგენს მოწინავე ონლაინ სერვისების პლატფორმას საქართველოში. მესაკუთრეებმა ჯგუფს მიყიდეს 65%-იანი წილი. ბიზნესის შესყიდვაში გადახდილმა თანხამ შეადგინა 19,450,000 ლარი.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

22 აგვისტო 2019

აქტივები

ძირითადი საშუალებები	1,177,796
არამატერიალური აქტივები	4,402,755
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	205,666
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,641,538
	7,427,755

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,558,625
საგადასახადო ვალდებულება	245,766
	1,804,391

შესყიდული წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (A)

5,623,364

არამაკონტროლებელი წილი ბიზნესის შეძენის მომენტში (B)

1,968,178

ბიზნესის შესყიდვაში გადახდილი თანხა (C)

19,450,000

გუდვილი (C - A + B)

15,794,814

გამოკლებული: შესყიდული კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები

(1,641,538)

შესყიდვისას წმინდა ფული და ფულის ეკვივალენტების გადინება

17,808,462

ჯგუფის მიერ გადახდილი თანხა ეფუძნებოდა შესყიდული კომპანიის ბიზნესის საქმიანობის შეფასების შედეგებს. თუმცა, ჯგუფმა შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები ფასს 3-ის მოთხოვნების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების საფუძველზე უნდა აღრიცხოს. ამ ორმა განსხვავებულმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვაობები და შესაბამისად, გუდვილის აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ეს წარმოდგენილია ცხრილში.

გუდვილი პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდული კომპანიის ბიზნესის მომგებიანობასა და სინერგიის მოსალოდნელ დადებით ეფექტთან.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ბიზნეს კომბინაცია საანგარიშგებო წლის განმავლობაში (გაგრძელება)

2019 წლის 19 აპრილს ჯგუფმა შეისყიდა შპს ონლაინ თიქეტის (ს/კ 405097915) 26%-იანი წილი. დამატებით, 2019 წლის 30 მაისს ფიზიკური პირებისგან შეძენილი 29%-იანი წილის საფუძველზე გახდა მაკონტროლებელი წილის მფლობელი. შესყიდული კომპანიის მიმდინარე საქმიანობა ელექტრონული ვაჭრობაა.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

30 მაისი 2019

აქტივები

ძირითადი საშუალებები	70,684
არამატერიალური აქტივები	792,213
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	373,490
ფული და ფულის ეკვივალენტები	679,087
	1,915,474

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	871,327
	871,327

შესყიდული წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (A)

1,044,147

არამაკონტროლებელი წილი ბიზნესის შეძენის მომენტში (B)

469,866

ბიზნესის შესყიდვაში გადახდილი თანხა (C)

800,000

გუდვილი (C - A + B)

225,719

გამოკლებული: შესყიდული კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები

(679,087)

შესყიდვისას წმინდა ფული და ფულის ეკვივალენტების გადინება

120,913

2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა შეისყიდა შპს ეფ სოლუშენის (ს/კ 406170520) 100%-იანი წილი. კომპანია ემსახურება სავალუტო პუნქტებს საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფით.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2019

შესყიდული წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (A)

13,706

ბიზნესის შესყიდვაში გადახდილი თანხა (B)

280,000

გუდვილი (B - A)

266,294

გამოკლებული: შესყიდული კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები

(2,519)

შესყიდვისას წმინდა ფული და ფულის ეკვივალენტების გადინება

277,481

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

2019 წლის 2 აპრილს ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისგან შეიძინა 90%-იანი წილი შპს „ოლ ფროფერტი ჯი“-ში (ს/კ 404449272) და სრული წილის მფლობელი გახდა შპს „ვენდუსა“ (ს/კ 405291090) და სს „სეუპში“ (ს/კ 404871750).

ფასს 3 არ გამოიყენება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სპეციალურად საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ჯგუფმა იხელმძღვანელა და გაითვალისწინა სხვადასხვა სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და სტრუქტურული საფუძვლების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან და აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის გამოიყენა საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდი. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა გადმოცემული კომპანიების საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალურ ღირებულებამდე აფასებით.

ინფორმაცია გადმოცემული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2 აპრილი 2019

აქტივები

ძირითადი საშუალებები	337,060
არამატერიალური აქტივები	110,874
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	573,900
მარაგები	584,883
ფული და ფულის ეკვივალენტები	462,489
	2,069,206

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	633,340
საგადასახადო ვალდებულება	10,907
	644,247

წმინდა აქტივები

1,424,959

ინფორმაცია გადმოცემული აქტივების, ვალდებულებების და გადახდილი ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2 აპრილი 2019

წმინდა აქტივების ღირებულება

1,424,959

არამაკონტროლებელი წილი

25,028

გადახდილი თანხა

4,475,000

გამოკლებული: საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტები

(462,489)

საწარმოთა გაერთიანებისას წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების გადინება

4,012,511

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	ავთო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მსუბუქი მანქანები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება							
შემოსვლა შვილობილი კომპანიების შემენისას	865,750	333,978	37,446	-	1,453	9,853	1,248,480
შემოსვლა საერთო კონტროლს	-	260,701	85,220	61,440	29,690	25,362	462,413
დაქვემდებარებული კომპანიების შემენისას	-	403,216	155,906	191,592	22,255	45,068	818,037
შეძენა	-	-	-	-	(7,801)	-	(7,801)
ჩამოწერა							
31 დეკემბერი 2019	865,750	997,895	278,572	253,032	45,597	80,283	2,521,129
შეძენა	-	228,916	54,163	40,827	-	23,704	347,610
რეალიზაცია	-	(13,349)	(23,136)	-	(7,084)	-	(43,569)
ჩამოწერა	-	(22,444)	(11,646)	(180,672)	-	(7,256)	(222,018)
31 დეკემბერი 2020	865,750	1,191,018	297,953	113,187	38,513	96,731	2,603,152
აკუმულირებული ცვეთა							
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ	-	(94,852)	(5,501)	(2,917)	(13,382)	(2,836)	(119,488)
საწარმოთა გაერთიანებისას შემოსული	-	(94,852)	(5,501)	(2,917)	(13,382)	(2,836)	(119,488)
აქტივების დაგროვილი ცვეთა	(10,970)	(97,193)	(31,864)	(32,605)	(5,897)	(8,263)	(186,792)
ცვეთა წლის განმავლობაში	(10,970)	(97,193)	(31,864)	(32,605)	(5,897)	(8,263)	(186,792)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების	-	-	-	-	7,126	-	7,126
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	7,126	-	7,126
31 დეკემბერი 2019	(10,970)	(192,045)	(37,365)	(35,522)	(12,153)	(11,099)	(299,154)
ცვეთა წლის განმავლობაში	(30,565)	(229,253)	(70,979)	(52,396)	(7,365)	(16,133)	(406,691)
რეალიზებული ძირითადი საშუალებების	-	1,438	6,411	-	6,140	-	13,989
დაგროვილი ცვეთა	-	1,438	6,411	-	6,140	-	13,989
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების	-	9,081	4,766	58,554	-	2,671	75,072
დაგროვილი ცვეთა	-	9,081	4,766	58,554	-	2,671	75,072
31 დეკემბერი 2020	(41,535)	(410,779)	(97,167)	(29,364)	(13,378)	(24,561)	(616,784)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	854,780	805,850	241,207	217,510	33,444	69,184	2,221,975
31 დეკემბერი 2020	824,215	780,239	200,786	83,823	25,135	72,170	1,986,368

9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	930,381	-
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტი	-	1,236,886
შეფასების ცვლილების ეფექტი	(69,436)	-
ცვეთა	(344,296)	(306,505)
ნაშთი წლის ბოლოს	516,649	930,381

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	1,010,000	-
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტი	-	1,163,323
საპროცენტო ხარჯი	79,371	75,568
შეფასების ცვლილების ეფექტი	(93,036)	-
საიჯარო გადასახადი	(418,941)	(274,432)
უცხოური ვალუტის გადაფასება	86,149	45,541
სხვა	(16,239)	-
ნაშთი წლის ბოლოს	647,304	1,010,000

ფასს 16-ის მიხედვით, ჯგუფმა აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულებები
აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 7% - 8.2% აშშ დოლარში გაფორმებულ კონტრაქტებზე და 11% - 13% ლარში გაფორმებულ კონტრაქტებზე.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

	ვებ- საიტები	ქლაუდ პლატფორმა	მომხმარებელთა ბაზა	საიტის პროგრამული კოდი	მობილური აპლიკაცია	საშემფასებლო პროგრამა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება								
შემოსვლა შვილობილი კომპანიების შეძენისას	843,732	-	2,638,000	1,698,000	-	-	15,236	5,194,968
შემოსვლა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების შეძენისას	107,288	-	-	-	-	-	6,462	113,750
შეძენა*	1,054,945	344,160	-	-	-	-	14,091	1,413,196
31 დეკემბერი 2019	2,005,965	344,160	2,638,000	1,698,000	-	-	35,789	6,721,914
შეძენა*	2,970,399	100,896	-	-	298,342	211,986	73,581	3,655,204
31 დეკემბერი 2020	4,976,364	445,056	2,638,000	1,698,000	298,342	211,986	109,370	10,377,118
აკუმულირებული ცვეთა								
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანებისას შემოსული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	(2,745)	-	-	-	-	-	(131)	(2,876)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(59,237)	(832)	(263,800)	(169,800)	-	-	(1,747)	(495,416)
31 დეკემბერი 2019	(61,982)	(832)	(263,800)	(169,800)	-	-	(1,878)	(498,292)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(260,967)	(37,810)	(263,800)	(169,800)	(15,269)	(7,664)	(13,480)	(768,790)
31 დეკემბერი 2020	(322,949)	(38,642)	(527,600)	(339,600)	(15,269)	(7,664)	(15,358)	(1,267,082)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	1,943,983	343,328	2,374,200	1,528,200	-	-	33,911	6,223,622
31 დეკემბერი 2020	4,653,415	406,414	2,110,400	1,358,400	283,073	204,322	94,012	9,110,036

*2020 და 2019 წლებში არამატერიალური აქტივების შეძენა შესაბამისად მოიცავს ვებ-საიტებისა და სხვადასხვა პროგრამების შესაქმნელად დაკაპიტალიზებულ ხელფასებს 3,407,815 ლარისა და 741,718 ლარის ოდენობით.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. გუდვილი

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	16,286,827	-
შვილობილი კომპანიის შეძენა	-	16,286,827
გაუფასურების ზარალი	(266,294)	-
ნაშთი წლის ბოლოს	16,020,533	16,286,827

გუდვილის განაწილება კომპანიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანია	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს მაიჯი	15,794,814	15,794,814
შპს ონლაინ თიქეთსი	225,719	225,719
შპს ეფ სოლუმენსი	-	266,294
	16,020,533	16,286,827

გუდვილის გაუფასურების ტესტი - გუდვილი უკავშირდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს, რომელიც წარმოადგენს შიდა მმართველობის მიზნებისათვის გუდვილის მონიტორინგის განხორციელების ყველაზე დაბალ დონეს.

შპს მაიჯი - შპს მაიჯის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განსაზღვრულია გამოყენების ღირებულების დაანგარიშების საფუძველზე. კალკულაცია იყენებს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულ ბიუჯეტებში მოცემულ ფულადი ნაკადების მოძრაობას. ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი სახსრების ნაკადები ფასდება 5.2 p.a. გაანგარიშებული ზრდის კოეფიციენტების გამოყენებით. კალკულაციაში გამოყენებული დაბეგვრამდე დისკონტის განაკვეთი განისაზღვრა 17.9%-ით.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა მთლიანი მოგების კოეფიციენტი წარსული გამოცდილებისა და ბაზრის მოლოდინების საფუძველზე. გრძელვადიანი ზრდის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი შეესაბამება დარგის ანგარიშებში მოცემულ პროგნოზებს. დისკონტის განაკვეთი ასახავს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. შპს მაიჯის ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის ასანაზღაურებელი მოცულობა აღემატება მის საბალანსო ღირებულებას 46,078,859 ლარით. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას არ დასჭირდა გუდვილის ან ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის წმინდა აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება.

შპს ეფ სოლუმენსი - შპს ეფ სოლუმენსის გუდვილის გაუფასურების ტესტირება განსაზღვრულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განსაზღვრულია გამოყენების ღირებულების დაანგარიშების საფუძველზე. კალკულაცია იყენებს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულ ბიუჯეტებში მოცემულ ფულადი ნაკადების მოძრაობას. ხუთწლიანი პერიოდის შემდეგ ფულადი სახსრების ნაკადები ფასდება 5.2 p.a. გაანგარიშებული ზრდის კოეფიციენტების გამოყენებით. კალკულაციაში გამოყენებული დაბეგვრამდე დისკონტის განაკვეთი განისაზღვრა 62.48%-ით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურების ტესტის შედეგად მოხდა შპს ეფ სოლუმენსის გუდვილის ჩამოწრა სრულად, რადგან შვილობილის ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის ასანაზღაურებელი მოცულობა არ აღემატება მის საბალანსო ღირებულებას.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,467,889	1,180,695
სხვა მოთხოვნები	31,409	29,165
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(66,464)	(22,249)
	1,432,834	1,187,611
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	1,224,226	993,115
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(69,040)	(36,754)
	1,155,186	956,361
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,588,020	2,143,972

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(59,003)	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება	(76,501)	(59,003)
ნაშთი წლის ბოლოს	(135,504)	(59,003)

ჯგუფურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიმდინარე	< 90 დღეზე	> 90 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1%-მდე	5% - 15%	15% - 60%	
ფინანსური მოთხოვნები				
მთლიანი ღირებულება	630,818	124,066	93,064	847,948
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(5,488)	(7,611)	(53,365)	(66,464)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	625,330	116,455	39,699	781,484

ჯგუფურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მიმდინარე	< 90 დღეზე	> 90 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1%-მდე	5% - 15%	15% - 30%	
ფინანსური მოთხოვნები				
მთლიანი ღირებულება	258,760	30,323	41,528	330,611
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(571)	(3,622)	(9,584)	(13,777)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	258,189	26,701	31,944	316,834

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალურ გაუფასურებაზე განხილული ფინანსური მოთხოვნების მთლიანი ღირებულება შედგენს 651,350 ლარს (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ გამოვლენილა). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება 879,249 ლარის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა შეადგენს 8,472 ლარს.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები

ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღები თანხები წარმოადგენენ ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ ვადიანი დეპოზიტებს. დეპოზიტების ვადიანობა არის 9-12 თვე და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 9%. დეპოზიტები წარმოადგენს მაღალ ლიკვიდურ აქტივებს, რომლებიც ადვილად გადაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	4,334	24,206
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	1,035,067	3,298,527
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	238,750	495,258
ფული გზაში	-	80,279
	1,278,151	3,898,270

15. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის მფლობელმა 2020 წლის 21 იანვრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით რამდენჯერმე განახორციელა მშობელი კომპანიის კაპიტალის ზრდა ჯამური თანხით 7,622,584 ლარი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 40,496,051 ლარს.

16. არამაკონტროლებელი წილი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც აქვს არამაკონტროლებელი წილი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	არამაკონტროლ ბელი წილის ხმის უფლება (%)	მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული არამაკონტროლებ ელი წილისთვის *	დივიდენდები	დაგროვილი არამაკონტროლებელ წილი შვილობილ კომპანიაში
შპს ონლაინ თიქეტსი	45%	(147,500)	-	469,391
- Online Tickets LLC	41%	(89,657)	-	(30,529)
შპს ოლფროფერტი.ჯი	10%	8,577	-	(30,744)
შპს მაი.ჯი	35%	481,814	(142,393)	2,303,563
შპს ბილინგ სოლუშენს	49%	(108,240)	-	59,990

*2020 წლის 1 აგვისტომ მშობელმა კომპანიამ შეიძინა შპს ჩემი ფოსტას 35%-იანი არამაკონტროლებელი წილი. 2020 წლის განმავლობაში არამაკონტროლებელი წილისთვის მიკუთვნებულმა ზარალმა შეადგინა 234,376 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც აქვს არამაკონტროლებელი წილი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	არამაკონტროლებელი წილის ხმის უფლება (%)	მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული არამაკონტროლებელი წილისთვის	დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი შვილობილ კომპანიაში
შპს ონლაინ თიქეტსი	45%	147,027	616,892
- Online Tickets LLC	41%	(749)	19,794
შპს ოლფროფერტი.ჯი	10%	(64,349)	(39,321)
შპს მაი.ჯი	35%	(4,037)	1,964,141
- შპს ჩემი ფოსტა	35%	(18,864)	(18,864)
შპს ბილინგ სოლუშენს	49%	(408)	168,230

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. არამაკონტროლებელი წილი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მიმდინარე აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	შემოსავალი	მთლიანი სრული შემოსავალი /(ზარალი)	ფულადი ნაკადები
შპს ონლაინ ტიკეტოსი	392,630	1,343,270	692,810	653,768	(327,781)	(1,328,694)
- Online Tickets LLC	115,831	9,159	3,398	1,362	(152,603)	(115,116)
შპს ოლფროფერთი.ჯი	1,368,916	1,496,309	832,665	3,638,736	85,765	(530,031)
შპს მაი.ჯი	682,940	3,446,034	1,064,607	5,779,005	1,810,209	(376,137)
შპს ბილინგ სოლუშენს	38,072	406,413	4,072	1,644	(220,899)	36,335

შვილობილი კომპანიების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მიმდინარე აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	ამონაგები	მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	ფულადი ნაკადები
შპს ონლაინ ტიკეტოსი	1,663,427	1,073,167	1,581,319	1,142,435	326,726	1,353,330
- Online Tickets LLC	230,962	5,014	1,113	67	(1,275)	230,947
შპს ოლფროფერთი.ჯი	1,226,090	1,062,413	991,708	2,479,848	(643,487)	696,576
შპს მაი.ჯი	812,905	1,547,761	695,236	2,160,681	(11,533)	482,003
- შპს ჩემი ფოსტა	217,178	2,602	123,678	74,292	(53,898)	123,213
შპს ბილინგ სოლუშენს	-	343,327	-	-	(833)	-

17. მიღებული სესხები

	ვალუტა	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020
სს ვითიბი ბანკი	ლარი	19-მაისი-2021	14%	300,841
სს ზაზის ბანკი	ლარი	26-იან-2021	12%	200,000
				500,841

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,156,202	2,189,626
მომხმარებლებისთვის დასაბრუნებელი თანხები	191,654	-
გადასახდელი ხელფასები	175,689	365,006
სხვა	236,775	262,905
	1,760,320	2,817,537
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი დივიდენდები	267,719	572,407
მიღებული ავანსები	51,624	169,499
	319,343	741,906
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,079,663	3,559,443

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი და ვალუტების მიხედვით გაშიფვრა იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნაში.

„თიბისი ეკოსისტემ კომპანის“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან

შემოსავალი:	2020	2019
განცხადებებისა და სარეკლამო ბანერების განთავსებიდან	6,071,793	2,520,296
პროფესიული საკონსულტაციო სერვისებიდან*	3,410,993	2,256,847
საკურიერო და სხვა მომსახურებიდან	1,835,520	103,021
ბილეთებისა და ვაუჩერების რეალიზაციიდან	768,125	1,508,614
საქონლის რეალიზაციის ორგანიზებიდან*	565,603	32,361
სხვა	349,399	44,892
	13,001,433	6,466,031

(*) საქონლის რეალიზაციის ორგანიზებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად მოიცავს ტექნიკის, საყოფაცხოვრებო საგნების, საბავშვო და თავის მოვლის საშუალებების, საახალწლო ნივთებისა და სათამაშოების გაყიდვიდან მიღებულ საკომისიო შემოსავლებს. პროფესიული საკონსულტაციო სერვისები ძირითადად მოიცავს უძრავი ქონების ღირებულების შეფასებას.

20. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2020	2019
ხელფასი	(11,016,755)	(5,513,908)
ბონუსი	(162,271)	(464,461)
სოციალური დანარიცხები	(255,828)	(177,185)
სხვა სარგებელი	(243,143)	(74,132)
	(11,677,997)	(6,229,686)

21. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურებები	(492,022)	(330,635)
საწვავი	(316,617)	(8,231)
საკურიერო მომსახურება	(264,223)	(121,989)
ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული მხარდაჭერა	(258,301)	(35,096)
სერვერის მიმდინარე მომსახურება	(205,674)	(119,546)
მოკლევადიანი იჯარა	(201,401)	(16,974)
კომუნიკაცია	(173,281)	(82,035)
ოფისის ხარჯი	(158,786)	(89,676)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(146,889)	(120,634)
საიტის პროგრამული უზრუნველყოფა	(91,792)	(109,537)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	(76,501)	(59,003)
კომუნალური გადასახადები	(61,827)	(37,894)
დაცვის ხარჯი	(43,907)	(31,003)
დაზღვევა	(28,895)	(20,484)
ბანკის საკომისიო	(20,302)	(46,529)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(11,223)	(22,585)
თანამშრომელთა ტრენინგები	(8,314)	(45,052)
მივლინება	(8,088)	(85,388)
სხვა	(278,444)	(237,922)
	(2,846,487)	(1,620,213)

22. მარკეტინგული ხარჯები

	2020	2019
ინტერნეტ რეკლამა	(1,282,381)	(1,032,307)
სარეკლამო ბანერი	(142,393)	(442,727)
პროფესიული მომსახურება	(128,764)	(94,314)
მომხმარებელთან კომუნიკაცია	(94,897)	(62,990)
მარკეტინგული მარაგების ხარჯი	(68,730)	(53,331)
ტელე და რადიო რეკლამა	(54,538)	(735,311)
წამახალისებელი აქცია პროდუქციის რეალიზაციისთვის	-	(169,390)
სხვა	(131,967)	(119,626)
	(1,903,670)	(2,709,996)

23. სხვა ხარჯები

2020 წლის განმავლობაში სხვა ხარჯი მოიცავს გუდვილის გაუფასურების ხარჯს 266,294 ლარს. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

24. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა, რომელშიც წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- (ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- (დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოცემულ თარიღში დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საწარმო საერთო კონტროლის ქვეჯ	სხვა დაკავშირებ ული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელ ობის ანაზღაურება	არამაკონტრო ლებელი წილი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	390,046	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,611	-	24,990	267,718
საიჯარო ვალდებულებები	-	52,735	-	-
შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან	3,363,948	-	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(1,558,954)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(964)	(88,611)	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	(5,088)	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოცემულ თარიღში დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საწარმო საერთო კონტროლის ქვეჯ	სხვა დაკავშირებუ ლი მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობ ის ანაზღაურება	არამაკონტრო ლებელი წილი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	499,339	29,468	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,164	-	25,372	572,407
საიჯარო ვალდებულებები	-	57,904	-	-
შემოსავალი პროფესიული და სხვა მომსახურების გაყიდვიდან	2,287,679	-	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	(794,714)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,319)	(55,681)	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	(2,382)	-	-

*2020 და 2019 წლების განმავლობაში სხვა დაკავშირებული მხარისგან შესყიდული მომსახურება ვებ-გვერდის პროგრამული განვითარებისთვის შეადგინა შესაბამისად 64,166 ლარი და 160,620 ლარი.

ოპერაცია მფლობელთან - 2019 წლის აპრილში, ჯგუფის მფლობელის (TBC Bank Group PLC) შვილობილმა კომპანიამ (სს თიბისი ბანკი) უზბეკეთში მოიპოვა საბანკო ლიცენზია და დააფუძნა ადგილობრივი კომპანია. აღნიშნული კომპანიის დაფუძნებისთვის ჯგუფმა 2020 და 2019 წლების განმავლობაში გასწია შესაბამისად 312,670 ლარისა და 607,493 ლარის ხარჯი, რომელიც მოიცავდა დაქირავებული თანამშრომლების ანაზღაურებას, ოფისის ფართის იჯარასა და სხვა ხარჯებს. შინაარსიდან გამომდინარე, ჯგუფმა აღნიშნული ოპერაცია წარადგინა როგორც მფლობელთან განხორციელებული ტრანზაქცია და შესაბამისად ასახა საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კაპიტალის ცვლილება - 2021 წლის 14 იანვრიდან 20 სექტემბრამდე ჯგუფის მფლობელმა (TBC Bank Group PLC) გაზარდა მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი ფულადი შენატანით 3,094,852 ლარის ოდენობით.

წილის ცვლილება - 2021 წლის 14 იანვარს შპს მაი.ჯიმ შეიძინა სს სვუპის 100%-იანი წილი. ასევე 2021 წლის 20 სექტემბერს მშობელი კომპანია შპს მაი.ჯის არამაკონტროლებელი წილის (35%) შესყიდვის შემდეგ გახდა 100%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის შეძენა - 2021 წლის 14 ივნისს მშობელმა კომპანიამ შეიძინა შპს არტარეა.ჯის 100%-იანი წილი.

დირექტორის ცვლილება - 2021 წლის 17 აგვისტოს შეიცვალა მშობელი კომპანიის (შპს თიბისი ეკოსისტემ კომპანის) დირექტორი და ამირან შეროზია ჩაანაცვლა გიორგი ჩუმაშვილმა.

კომპანიის დახურვა - 2021 წლის 18 იანვარს შპს ჩემი ფოსტამ შეწყვიტა საკურიერო მომსახურების გაწევა და 1 აპრილს კომპანია დაიხურა.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება წარდგეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა და ყველა აქტივი წარადგინა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფინანსური ინსტიტუტებისგან მისაღებ თანხებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები ძირითადად მოიცავს ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს წარადგენს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება წარდგენილი აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბიზნეს კომბინაცია

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. ბიზნეს კომბინაციასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

შეძენის თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შეძენილ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღიარდება და ფასდება ბასს 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად;
- ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღიარდება ფასს 2 „წილობრივი გადახდა“-ს მიხედვით; და
- აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღიარდება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში, შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შეძენილ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შეძენის თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელ წილს შეძენილ საწარმოში და შეძენილ საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შეძენის თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შეძენიდან მიღებული მოგება.

გუდვილი

გუდვილი წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ჯგუფი ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველ წელს და ასევე თუ შეამჩნევს, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურებული იყოს. გუდვილი მიეკუთვნება ფულის გენერირების აქტივს ან ფულის გენერირების აქტივების ჯგუფს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს ნახავს საწარმოთა გაერთიანებების შედეგად. ასეთი აქტივები ან აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს, და ადარ არის საოპერაციო სეგმენტი. მოგებები ან დანაკარგები იმ ოპერაციის განკარგვასთან დაკავშირებით ფულის გენერირების აქტივის ფარგლებში, რომელშიც განაწილდა გუდვილი, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც უკავშირდება განკარგულ ოპერაციას. ეს ზოგადად იზომება განკარგული ოპერაციის შედარებით ღირებულებების საფუძველზე და ფულის გენერირების აქტივის ნაწილზე, რომელიც დაკავებულია.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

ფასს 3 არ გამოიყენება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის (ფასს 3 -ის 2 (გ) პუნქტი).

იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სპეციალურად საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულთა ან საწარმოთა გაერთიანებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს სააღრიცხვო პოლიტიკა აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის.

მსჯელობის დროს ხელმძღვანელობამ უნდა მიმართოს და გაითვალისწინოს შემდეგი წყაროების გამოყენების შესაძლებლობა იერარქიულად:

- სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მოთხოვნები და მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია მსგავს და მონათესავე საკითხებთან; და
- სტრუქტურულ საფუძვლებში მოცემული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებები, მათი აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კონცეფციები.

ხელმძღვანელობას ასევე შეუძლია მხედველობაში მიიღოს უკანასკნელი ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ეკუთვნის სტანდარტების დამდგენ სხვა ორგანიზაციას, რომელიც იყენებს მსგავს კონცეპტუალურ ბაზას სააღრიცხვო სტანდარტების შექმნისას, ასევე სხვა სააღრიცხვო ლიტერატურა და დარგში მიღებული პრაქტიკა იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს.

ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშავოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მიიღება ინფორმაცია, რომელიც:

ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და

ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

- სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
- ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;
- არის წინდახედული; და
- არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ჯგუფი იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალურ ღირებულებამდე აფასებით. გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირდება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ჯგუფის მიერ, საბალანსო ღირებულებები განისაზღვრება გადმოცემული საწარმოს ფინანსური ანგარიშგებიდან.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

მიწა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	33
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-6
მსუბუქი მანქანები	5
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე, თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ჯგუფი

ვებ-საიტი

ქლაუდ პლატფორმა

მომხმარებელთა ბაზა

საიტის პროგრამული კოდი

მობილური აპლიკაცია

საშემფასებლო პროგრამა

სხვა

სასარგებლო მომსახურების ვადა

10-15

10

10

10

15

15

5-15

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიპოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიანი აქტივებში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%.

მოგების გადასახადის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ წარმოიქმნება. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც

შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს

გადაეცემა.

ჯგუფი როგორც მარწმუნებელი

ჯგუფი შემოსავლის გენერირებას ახდენს ელექტრონული ვაჭრობით, სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პროფესიული კონსულტაციის გაწევით. ელექტრონული ვაჭრობის შესაბამისი შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე, ჯგუფი განიხილავს შემდეგ ინდიკატორებს:

- გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე უფლება აქტივისათვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრების იურიდიული უფლება;
- ფიზიკურად გადასცა თუ არა ჯგუფმა აქტივი;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- მიიღო თუ არა მომხმარებელმა აქტივი;

გაწეული მომსახურების შესაბამისი ამონაგები აღიარდება გამოწერილი ინვოისის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მოცემული თარიღის მდგომარეობით შესრულებულ სამუშაოს მოცულობას.

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სარეალიზაციო პროდუქტზე დადგენილი ფასების შესახებ ინფორმაცია აისახება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ფასები შესაძლოა განსხვავებული იყოს მომხმარებლების მიხედვით. ფასების ცვლილების შემთხვევაში ინფორმაციის ასახვა ხდება საინვოისო დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტს.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაციდვის შედეგად ჯგუფის მიერ მისაღები ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს გაცემული ფასდაკლების შედეგად. ცვალებადი ანაზღაურების შეფასება ჯგუფის მიერ ხორციელდება შემდეგი მეთოდის საშუალებით:

- ყველაზე მეტად მოსალოდნელი ოდენობა - გულისხმობს, ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელ სიდიდეს.

ჯგუფი როგორც რწმუნებული

ჯგუფი განსაზღვრავს თუ რას წარმოადგენს მისი დაპირება: არის თუ არა ეს შესასრულებელი ვალდებულება, რომლის თანახმადც მან თვითონ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდება, თუ მას სხვა მხარისთვის ევალება ამ საქონლის ან მომსახურების მიწოდების ორგანიზება.

იმისათვის, რომ დაადგინოს ჯგუფი არის მარწმუნებელი თუ რწმუნებული, ხელმძღვანელობა განიხილავს ქვემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორებს:

- არის თუ არა ჯგუფი ძირითადად პასუხისმგებელი შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების დაპირების შესრულებაზე;
- ჯგუფი ექვემდებარება თუ არა მარაგის რისკს მომხმარებლისთვის შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, ან მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შემდეგ;
- გააჩნია თუ არა ჯგუფს შეთანხმებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ფასის დამოუკიდებლად დადგენის უფლება;

ჯგუფს მიაჩნია, რომ არის რწმუნებული ბილეთებისა და ვაუჩერების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებში, ვინაიდან არ აკონტროლებს მოცემულ აქტივებს და ამავდროულად არ გააჩნია აღნიშნული აქტივის ფლობასთან დაკავშირებით რაიმე რისკი. შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ბილეთების, ვაუჩერებისა და მასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდების ორგანიზება სხვა მხარისათვის.

როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას ის ამონაგებს აღიარებს გასამრჯელოს ან საკომისიოს ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც ჯგუფი მოელის იმის სანაცვლოდ, რომ ორგანიზებას უკეთებს სხვა მხარისგან მისაღები შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას. ჯგუფის გასამრჯელო ან საკომისიო შეიძლება იყოს ანაზღაურების ნეტო თანხა, რომელსაც ჯგუფი იტოვებს მას შემდეგ, რაც სხვა მხარეს გადაუხდის მისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებას.

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია ჯგუფის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- ჯგუფის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონიერულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც ჯგუფს ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლე ვიდრე იჯარის ვადა.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმდების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახედული ვადის განმავლობაში, რომელიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთსა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზირდება დარჩენილი (გადახედული) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომელიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდეს ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტის დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფი იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

27. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

თიბისი ეკოსისტემ კომპანის ჯგუფი
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის



თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ჯგუფის ზოგადი მიმოხილვა

შპს თიბისი ეკოსისტემ კომპანიის მართავს ჯგუფში შემავალ კომპანიებს. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება, სარეკლამო და სხვადასხვა მარკეტინგული მომსახურებები.

მშობელი კომპანია 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს ინვესტიციებს შემდეგ შვილობილ კომპანიებში:

კომპანიის სახელი	წილი (%) 2020	წილი (%) 2019	დარგი
შპს ოლ ფროფერტი ჯი	90%	90%	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება
შპს ონლაინ თიქეტსი: - Online Tickets LLC	55% 75%*	55% 75%*	ელექტრონული ვაჭრობა ელექტრონული ვაჭრობა
შპს ეფ სოლუმენი	100%	100%	ვალუტის გადამცვლელი პუნქტების პროგრამული მომსახურება
შპს მაი.ჯი	65%	65%	ონლაინ სერვისების პლატფორმა
შპს ჩემი ფოსტა	100%	100%*	საფოსტო-საკურიერო მომსახურება
შპს თიბისი კონექტი	100%	-	არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას
შპს ბილინგ სოლუმენს	51%	51%	არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას
სს სეუპი	100%	100%	ელექტრონული ვაჭრობა
შპს ვენდუ	100%	100%	ელექტრონული ვაჭრობა

ჯგუფის საქმიანობის შედეგები დამოკიდებულია ძირითადი მსხვილი შვილობილების განვითარების და ფუნქციონირების შედეგებზე. ქვემოთ მოცემულია ის ძირითადი მიმართულებები და შვილობილების საქმიანობა, რომლის გათვალისწინებითაც ხდება თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა.

2. ინფორმაცია ჯგუფში შემავალი ძირითადი საქმიანობის შესახებ, განვითარების გეგმები

შპს მაი.ჯი

მაი.ჯი (My.ge) არის კავკასიაში ყველაზე მრავალ პროფილური ელ. კომერციის პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მარტივ, ხელმისაწვდომ და ხარისხიან ვებ-მომსახურებას 2003 წლიდან. 18 წლიანი გამოცდილების შედეგად კომპანიამ შეძლო დაეგროვებინა უნიკალური ნოუ-ჰაუ ტექნოლოგიური მიმართულებით და შეეძინა ლოიალური მომხმარებლების მუდმივად მზარდი ბაზა, რამაც განაპირობა რეგიონში კომპანიის მიერ წამყვან პოზიციების დაკავება. კომპანიის მთავარი მიზანია მუდმივი ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების გზით შექმნას მაქსიმალურად მოქნილი და მომხმარებელზე მორგებული სერვისი, განავითაროს პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობისა და ნდობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობის განვითარება სერვისის/პროდუქციის მიმწოდებლებსა და გაუადვილოს მათ ერთმანეთთან დაკავშირება.

2020 წლისთვის კომპანია საკუთარი ქოლგის ქვეშ აერთიანებს შემდეგ პლატფორმებს:

www.MyAuto.ge - კავკასიის ყველაზე დიდი ავტოპორტალი. ონლაინ პლატფორმა ავტომობილების, მოტო და სპეც-ტექნიკის ყიდვა-გაყიდვისა და გაქირავებისთვის. ვებ-გვერდის სერვისით სარგებლობენ როგორც საქართველოს შიდა ბაზარზე არსებული მომხმარებლები, ასევე ქვეყნიდან ავტო/მოტო ტექნიკის ექსპორტსა და რეექსპორტზე მომუშავე იურიდიული თუ ფიზიკური პირები.

www.MyMarket.ge - ონლაინ ვაჭრობის პლატფორმა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, გაყიდონ ახალი/მეორადი საქონელი ან განათავსონ შეთავაზება საკუთარი სერვისის შესახებ. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს საიტზე შეიძინოს განთავსებული პროდუქცია. ვებ-გვერდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს

www.MyShop.ge - ონლაინ პლატფორმა მაღაზიებისათვის, რომლებსაც უკვე საიტიდანვე შეუძლიათ გაყიდონ საკუთარი პროდუქცია და ისარგებლონ კომპანიის საკურიერო სერვისით.

www.MyHome.ge - საქართველოში ყველაზე დიდი უძრავი ქონების პორტალი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი ყიდულობს, აქირავებს ან აგირავებს საკუთარ უძრავ ქონებას, ან ათავსებს ინფორმაციას მისი ყიდვის, ქირაობის თუ დაგირავების სურვილის თაობაზე. პორტალზე თავსდება როგორც კერძო პირების, ასევე უძრავი ქონების სააგენტოებისა და სამშენებლო კომპანიების განცხადებები.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

www.MyParts.ge - ავტონაწილების ერთადერთი პორტალი საქართველოში. საიტზე თავსდება ინფორმაცია ახალი და მეორადი ავტონაწილების, აქსესუარებისა და ავტო სერვისების შესახებ. მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად შეიძინოს სასურველი პროდუქცია.

www.MyJobs.ge - დასაქმების პორტალი, სადაც ყოველდღიურად ხდება მიმდინარე ვაკანსიების, ტრენინგებისა და ტენდერების შესახებ განცხადებების განთავსება.

www.MySports.ge - სპორტული სიახლეების პორტალი, რომელიც სპორტის თითქმის ყველა ძირითად სახეობას მოიცავს.

www.MyAds.ge - საბანერ რეკლამების უნიკალური სისტემა (CPC), რომელიც რეკლამის განთავსებელ ორგანიზაციებს/კერძო პირებს აძლევს საშუალებას თავადვე მართონ საკუთარი სარეკლამო კამპანიები შინაარსობრივად თუ დროით ჭრილში, აკონტროლონ სარეკლამო ბიუჯეტი და გადაიხადონ მხოლოდ მათი პროდუქციით თუ მომსახურებით დაინტერესებული პოტენციური მომხმარებლების მიერ განხორციელებულ კლიკებში (CPC).

ყოველთვიურად 1,7 მილიონი უნიკალური ვიზიტორით, My Group-ის ონლაინ ტრაფიკი ერთ-ერთი ყველაზე დიდია საქართველოში. ის ბაზრის ლიდერია საავტომობილო, სათადარიგო ნაწილებსა და C2C ჭრილში, თითოეულში დაახლოებით 80%-იანი წილით. ასევე, მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი უძრავი ქონების სფეროში, სადაც ტოპ-2 მოთამაშეს შორისაა. 2016-2018 წლების განმავლობაში კომპანიამ ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი აჩვენა, რაც აისახა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნიკალური ვიზიტორების რიცხვის დაახლოებით 20%-იან ზრდაში. ამავე პერიოდში კომპანიის შემოსავლები დაახლოებით 75%-ით, ხოლო გადასახადამდე მოგება - 88%-ით გაუმჯობესდა.

2018 წლის ზაფხულიდან კომპანიაში განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, შემუშავდა განვითარების სტრატეგია და მოხდა მომავალი გეგმების ჩამოყალიბება.

2021 წლის კომპანიის მთავარი მიზნები შემდეგ პუნქტებად ჩამოყალიბდა:

- შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა;
- მომხმარებლის მოთხოვნაზე ორიენტირებული სისტემის შექმნა;
- საკადრო პოლიტიკის განვითარება და დანაკლისის დაკომპლექტება;
- რებრენდინგი და ბრენდის პლატფორმის აქტიური კომუნიკაცია.

ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო თიბისი ბანკის ჯგუფის მიერ კომპანიის 65%-იანი წილის შესყიდვამ კომპანიის დამფუძნებლებისა და აღმასრულებელი დირექტორებისგან - ლაშა და კახა გიგიტელაშვილებისგან. ამ პერიოდიდან ხდება თიბისი ჯგუფის ეკოსისტემური ხედვის გადმოტანა და განვითარება My Group-ის პლატფორმებზე.

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს ტექნოლოგიურ სფეროში დაგროვილი ნოუ-ჰაუს გამდიდრება და ახალი ინოვაციური გზების ძიება დასახული მიზნების სისრულეში მოსაყვანად. 2020 წელს კომპანიამ შეიმუშავა და დანერგა mobile-first მიდგომა, რაც გულისხმობდა საიტის პირველადი პროტოტიპის შექმნას მობილური ვერსიებისთვის და შემდეგ უკვე შექმნილი ვერსიის „პროგრესულ გაფართოებას“ ტაბლეტებისა და ლეპტოპების, პერსონალური კომპიუტერებისთვის.

შპს „ოლფროფერთი-ჯი“

შპს „ოლფროფერთი-ჯი“ („ლივო“) წარმოადგენს უძრავი ქონების პირველ ციფრულ ეკოსისტემას საქართველოში, რომლის მიზანია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცესის სრულად ციფრულ სფეროში გადატანა. კომპანია მომხმარებლების საჭიროებების შესაბამისად მუდმივად ცდილობს განავითაროს და დაამატოს ახალი ინოვაციური სერვისები ბაზარზე, რომლის მიზანია მომხმარებლის დროისა და ფინანსური რესურსების დაზოგვა.

კომპანია არსებული სერვისებით ემსახურება უძრავი ქონების ბიზნესში საცალო სეგმენტს, ასევე ციფრულ სივრცეში მარკეტინგის სისტემის დანერგვაში და რეკლამირებაში ეხმარება უძრავი ქონების დეველოპერულ და საბროკერო კომპანიებს. ასევე, ამ კომპანიებისთვის ახდენს გაყიდვების ჯგუფებისთვის კონსულტაციის გაწევას.

ლივო უძრავი ქონების შეფასების სერვისით და იპოთეკური ლიდების მიწოდების სერვისით თანამშრომლობს საბანკო სექტორთან. მისი კლიენტები არიან საქართველოში არსებული მსხვილი ბანკები, როგორც არის: თიბისი ბანკი, ვითიბი ბანკი, ტერა ბანკი, კრედიო ბანკი, ბაზის ბანკი. კომპანიის მიერ შეფასებული უძრავი ქონება წარმოადგენს ბაზარზე არსებული შეფასებების დაახლოებით 70%-ს.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

არსებული სერვისები:

- უძრავი ქონების შეფასება
- 3D - ტური
- ფოტოგრაფიის სერვისი
- Fb - ფეისბუქ რეკლამა
- ლიდერის გენერირება ბანკებისთვის და სადაზღვევო კომანიებისთვის
- ლიდერის გენერირება დეველოპერული კომპანიებისთვის

უძრავი ქონების შეფასება ხორციელდება საერთაშორისო შეფასების სტანდარტის (IVS) – ის მიხედვით და მომხმარებელს ეხმარება უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების დადგენაში. შეფასების დასკვნას 24 საათში ელექტრონული ფოსტით იღებს მომხმარებელი. მას აქვს იურიდიული ძალა. ლივოს მიერ თვეში 10 000 - მდე უძრავი ქონების შეფასება ხდება და ჰყავს 11 წლიანი გამოცდილების მქონე შემფასებლების 70 კაციანი გუნდი.

უძრავი ქონების 3D (სამგანზომილებიანი) გადაღება - აღნიშნული სერვისი გასაყიდი ან გასაქირავებელი უძრავი ქონების მარტივად დათვალიერებასა და მომხმარებლის დროის დაზოგვაზეა ორიენტირებული. 3D(სამგანზომილებიანი) ვირტუალური ტური არსებულ უძრავ ქონებას ზუსტად იდენტურს წარმოაჩენს ციფრულ სივრცეში. მომხმარებელი აღიქვამს რეალურ ზომებს, ფერებს და სხვა დეტალს. 3D გადაღება იდეალურია ბინების, სახლების, სასტუმროების და სხვა კომერციული შენობებისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, უძრავი ქონების უკონტაქტოდ გაყიდვის ან გაქირავების შესაძლებლობაა.

შპს ონლაინ თიქეტსი

შპს ონლაინ თიქეტსის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ონლაინ პლატფორმის www.tkt.ge მეშვეობით სხვადასხვა კულტურული და გასართობი ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების, ფესტივალების, კინოს, თეატრისა და სატრანსპორტო საშუალებების (მატარებელი, ავიაბილეთები) ბილეთების/საშვების რეალიზაცია. კომპანია თავისი საქმიანობის პერიოდში არაერთი მასშტაბური პროექტის/ღონისძიების ტექნიკურ/ლოჯისტიკური მხარდამჭერია.

კომპანია ბაზარზე გამოჩნდა 2015 წლიდან , დღეისათვის უკავია ლიდერის პოზიცია, არის ყველაზე ცნობილი ბილეთების სარეალიზაციო საიტი, რომელიც ოპტიმიზებულია სმარტფონებისა და პლანშეტებისთვის და ყავს 300'000 რეგისტრირებული მომხმარებელი.

კომპანია ღონისძიების ორგანიზატორებს (არა მარტო) სთავაზობს ბილეთების რეალიზაციის მომსახურების სრულ სპექტრს, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ტექნიკურ, ლოჯისტიკურ და მარკეტინგულ მხარდაჭერას, ხოლო მომხმარებლებს სთავაზობს ბილეთების ყიდვისათვის მაქსიმალურად კომფორტულ და მოქნილ სერვისს. გარდა ონლაინ გაყიდვებისა, კომპანია მართავს თბილისისა და ბათუმის ყველაზე მოთხოვნად საღაროებს, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, შეიძინოს ბილეთები როგორც ონლაინ, ასევე საღაროებში.

დაარსებიდან 5 წლის განმავლობაში კომპანია მუდმივად ავითარებს ახალ სერვისებს და ახორციელებს ახალი მიმართულებების ათვისებას. დღეისათვის წარმოადგენს ქვეყანაში სპორტის ყველა წამყვანი სახეობის ბილეთების ექსკლუზიურ რეალიზატორს, ყველა მასშტაბური ღონისძიების დასასწრები ბილეთების 70-80%-ის რეალიზატორს და სხვადასხვა უმსხვილესი ფესტივალების მთავარ რეალიზატორს.

2019 წელს კომპანიამ დაამატა ტრანსპორტის ახალი მიმართულებები: ფრენებისა და ავტობუსის სახით, სადაც მომხმარებელს საშუალება მიეცა შეიძინოს სხვადასხვა კომპანიების ავიაბილეთები და საქალაქთაშორისო რეისებზე ბილეთები. 2020 წელს დაემატა რესტორნების დაჯავშნის სერვისი.

2019 წელს კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საერთაშორისო ბაზარზე გასვლა და უზბეკეთში შვილობილი კომპანიის ონლაინ თიქეტს უზბეკეთის დარეგისტრირება, რომელმაც ადგილობრივ ბაზარზე დაიწყო ოპერირება საიტით www.tkt.uz

შპს ვენდუ

ვენდუ არის საქართველოში პირველი ონლაინ მოლი, რომელიც აკავშირებს მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია საქმიანობას აწარმოებს ვებგვერდ www.vendoo.ge-ს მეშვეობით. ვებგვერდზე მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს პროდუქცია 24 საათის განმავლობაში და მიიღოს ნივთები საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ მისამართზე. ვენდუს პლატფორმა არის სრულად ციფრული მოლი, რაც გულისხმობს, რომ ის განკუთვნილია ნებისმიერი გამყიდველისთვის, რომელიც პლატფორმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შესაბამისად, კომპანია სთავაზობს მიმწოდებლებს მზა გადაწყვეტას ონლაინ გაყიდვების გაზრდისთვის, რაც მოიცავს სრულ ციკლს:

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- კომფორტული და სტაბილური პლატფორმა, ძირითადი პროცესების ავტომატიზაციით;
- პროდუქციის დასაწყობებას და ლოგისტიკას;
- მომხმარებელთა მხარდაჭერას და კონსულტაციას;
- გაყიდვების და ტრენდების დეტალურ ანალიტიკას;
- სრულ ციფრულ მარკეტინგს, როგორც ვებგვერდზე, ასევე სხვადასხვა ციფრულ არხებში.

ვენდუს მისია არის, შექმნას ისეთი ონლაინ ვაჭრობის ეკოსისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, სთავაზობს რა მომხმარებელს მრავალფეროვან პროდუქციის არჩევანს. კომპანიის მომწოდებლებს შორის არის საქართველოს ბაზარზე ტოპ საცალო გაყიდვის კომპანიები, როგორიცაა: ალტა, აისფისი, ბეკო, სუპერი, ბრიკორამა, გორგია და სხვა.

2019-2020 წლების განმავლობაში კომპანიის მთავარი მიზანი და გამოწვევა იყო ის, რომ გაეზარდა მომხმარებლის ცნობადობა, ქვეყნის ონლაინ ვაჭრობის ბაზარზე დამკვიდრებისთვის, და საბოლოოდ მოეზიდა პლატფორმაზე მეტი მომხმარებელი, ვისაც შესთავაზებდა საუკეთესო მომსახურებას კონკურენტებთან შედარებით. ამისათვის გაეშვა ინტენსიური კამპანიები როგორც ციფრულ არხებში, ასევე ტელევიზიაში და გარე რეკლამების სახით. შედეგად მივიღეთ ის, რომ პლატფორმაზე 2019-2020 წლების განმავლობაში დარეგისტრირდა 150 ათასზე მეტი უნიკალური მომხმარებელი. მათ ვენდუზე შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა უპირატესობებით, როგორიცაა:

- გადახდის მრავალფეროვანი მეთოდები - ბარათით და ნაღდი ფულით გადახდა, თიბისის და სფისის ონლაინ განვადებები;
- სხვადასხვა სახეობის პროდუქციის დიდი ასორტიმენტი;
- მარტივი და მოქნილი ვებგვერდი პროდუქციის მიებისთვის;
- სწრაფი და ხარისხიანი მიტანის სერვისი, მათ შორის იმავე დღეს პროდუქციის ჩაბარება;
- პროდუქციის უკან დაბრუნების მარტივი და მოსახერხებელი პირობები.

საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა კომპანია გახადა ერთერთი ყველაზე დიდი ონლაინ კომერციის პორტალი საქართველოს ბაზარზე.

2020 წლისთვის კომპანია გეგმავს კიდევ უფრო მეტად გაფართოებას, როგორც რეგისტრირებული მომხმარებლების, ასევე ახალი მომწოდებლების და შესაბამისად ახალი პროდუქციის მიმართულებით. 2020 წელს იგეგმება რომ პლატფორმაზე დაემატოს ახალი გადახდების მეთოდები, უფრო მეტად განვითარდეს და დაიხვეწოს ვებ პლატფორმა, რომელიც სრულად მომხმარებლის კომფორტზე იქნება ორიენტირებული.

სხვა კომპანიები

გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი ღირებულების შემქმნელი კომპანიებისა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ისეთი მცირე ზომის კომპანიები როგორიცაა **შპს ეფ სოლუშენი**, **შპს ჩემი ფოსტა**, **შპს ბილინგ სოლუშენს**, **შპს თიბისი კონექტი** და **სს სვუპი**.

ამ მცირე ზომის კომპანიებიდან შპს ბილინგ სოლუშენი და შპს თიბისი კონექტი, ამჟამად არ ფუნქციონირებენ.

შპს ჩემი ფოსტა წარმოადგენს საფოსტო მომსახურების მიმწოდებელ პირს. 2021 წლის 18 იანვარს შპს ჩემი ფოსტამ შეწყვიტა საკურიერო მომსახურების გაწევა და 1 აპრილს კომპანია დაიხურა.

სს სვუპი ონლაინ გაყიდვების კომპანიაა რომელიც ასევე ჩართულია პრომო აქციების ორგანიზების ნაწილში.

შპს ბილინგ სოლუშენის სავალუტო ჯიხურების საქმიანობის საოპერაციო პროგრამების შექმნას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ანალოგიურად სხვა მცირე შემოსავლიანი კომპანიების შემოსავლების და ხარჯების მცირე ზომის გამო ამ კომპანიის საქმიანობა არსებით როლს არ თამაშობს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ფორმირებაში.

3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს მაი.ჯი

მაი.ჯი - ში ტრანსფორმაციის დაწყებამდე ადამიანური კაპიტალი მხოლოდ 33 თანამშრომელსა და რამდენიმე დეპარტამენტს ითვლიდა. კომპანიაში IT მიმართულებით გამოყოფილი იყო შემდეგი დეპარტამენტები: ვებ-დეველოპმენტი, ვებ-დიზაინი, ხელოვნური ინტელექტისა და სისტემური ადმინისტრატორები, ხოლო ბიზნესის განვითარების მიმართულებით წარმოდგენილი იყვნენ თანამშრომლები შემდეგ პოზიციებზე: გაყიდვების მენეჯერი, სოც. მედია მენეჯერი, ოფისის მენეჯერი, პროექტების მართვის მენეჯერი, ბუღალტერი. ერთ დეპარტამენტად ერთიანდებოდა კლიენტთა მომსახურებისა და კონტენტის მართვის მიმართულება.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სტრატეგიის შესაბამისად განისაზღვრა ადამიანური კაპიტალის დაგეგმვა, რის შედეგადაც კომპანიას შემოუერთდა 52 თანამშრომელი. სამუშაო ძალის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი 15% შეადგინა, რაც შესაბამისობაშია ტექნოლოგიური კომპანიების 13%-იან მაჩვენებლებთან.

კომპანიაში არსებული პლატფორმების (ელ. კომერცია, უძრავი ქონება და ავტო-მოტო ინდუსტრია) ჩამოყალიბება დამოუკიდებელ ბიზნეს მიმართულებებად 2019 წლის 1-ელი კვარტლიდან დაიწყო და კვლავ გრძელდება. თითოეულ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა პროდუქტის განვითარების მენეჯერი, რომლებმაც შეიმუშავეს პროდუქტების განვითარების სტრატეგია. სამუშაო ძალის ზრდის შედეგად კომპანიაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტები - ციფრული მარკეტინგის, კლიენტთა მხარდაჭერის, ადამიანური რესურსების მართვის, გაყიდვების, კონტენტისა და ხარისხის მართვის. ასევე გაფართოვდა ვებ-დიზაინის, ვებ-დეველოპმენტი, ხელოვნური ინტელექტისა და მობილური აპლიკაციების დეპარტამენტები.

კვლევის მიზანი იყო ქართული ყიდვა/გაყიდვის ვებგვერდების მომხმარებლების ძირითადი ქცევების პატერნების გამოვლენა, იმ მიგნებების, რომლებსაც ანიჭებენ უპირატესობას პლატფორმებით სარგებლობისას და რომელ მახასიათებლებზე დაყრდნობით აკეთებენ არჩევანს.

ამავე წელს, განხორციელდა შიდა პლატფორმული განახლებები, რის შედეგადაც კომპანიას შესაძლებლობა მიეცა ზუსტად განესაზღვრა 2 მილიონზე მეტი მომხმარებლის ინტერესები. შედეგად, ამ ეტაპზე, კომპანიისთვის შესაძლებელია ერთი ადამიანის სიზუსტითავე კი, რეალურ დროში, ჰქონდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ აქ და ახლა, რა ტიპის ქონებას, ავტომობილს ან სხვა ნებისმიერ ნივთს ეძებს მომხმარებელი და შესთავაზოს ზუსტად მასზე მორგებული პროდუქტები თუ სერვისები, შექმნას მათი პერსონალური გამოცდილება.

მიღებული მონაცემებზე დაყრდნობით, მომზადდა MY.GE-ის პლატფორმების განვითარების სტრატეგია, რომლის მთავარი მიზანი გახდა ყიდვა/გაყიდვის პროცესის გაციფრულება, ტრანზაქციის სრულად ონლაინ გადატანა და მომხმარებელთა ცხოვრების გამარტივება.

2018 წელს, დაწყებული ბრენდის ტრანსფორმაციის პროცესი სამოქმედო ნაბიჯებში გადაიხარდა 2019-2020 წლის განმავლობაში. მონაცემების დამუშავებაზე, ორგანიზაციის მიზანსა და მისიაზე დაყრდნობით მომზადდა ბრენდ პლატფორმა, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა ბრენდის ახალი იდენტობა და მისი ვიზუალური ასახვა. მკაფიოდ ჩამოყალიბდა ბრენდის დაპირება და პოზიციონირება, რომელიც კომპანიას უნდა მიეტანა საკუთარ მომხმარებლებამდე.

შპს ოლფროფერთი-ჯი

კომპანია მუდმივად ცდილობს მომხმარებლების საჭიროებების მიხედვით განავითაროს უძრავი ქონების ინოვაციური სერვისები. ლივოს 2021 წლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს უძრავი ქონების შესყიდვის და გაქირავების სფეროში არსებული სერვისების დაახლოებით 80%-ის დანერგვა. ჩატარებული კვლევებისა და მომხმარებლების მოთხოვნილების გაანალიზების შემდეგ, ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა შემდეგი სერვისები:

- **უძრავი ქონების აზომვა** - უძრავი ქონების აზომვისას ხდება შიდა აზომვით ნახაზის მომზადება. აღნიშნული სერვისით სარგებლობისას ლივოს საჯარო რეესტრის ავტორიზებული წარმომადგენელი ესტუმრება მომხმარებელს და ნახაზს დაარეგისტრირებებს საჯარო რეესტრში.
- **უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში** - საჯარო რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა და დარეგისტრირება;
- **იურიდიული შემოწმება** - უძრავი ქონების იურიდიული შემოწმების სერვისი მოიცავს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებას, მოწმდება უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ხდება კონსულტაციის გაწევა, თუ რა დოკუმენტაციაა საჭირო ქონების რეგისტრაციისთვის და გავლენას ახდენს აღნიშნული უფლებრივი ნაკლი საკუთრების მართვასა და განკარგვაზე. ეს ყოველივე მომხმარებლებს უზოგავს დროს და უზღვევს გაუთვალისწინებელ რისკებს უძრავი ქონების გადაფორმების დროს.
- **ლივოს აუქციონის სერვისი** - პირველი უძრავი ქონების სპეციალიზირებული აუქციონი.
- **უძრავი ქონების ინდექსაცია** - ხელოვნური ინტელექტის საშუალებით საბაზრო ფასის დადგენის შესაძლებლობა.

ლივოსთვის განმავლობაში 300 000 - ზე მეტი უნიკალური ვიზიტორი ჰყავს, რომლის მიხედვით ბაზრის 17 %-ის წილი უჭირავს. განცხადებების რაოდენობა კი არის პერმანენტულად მზარდი.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ონლაინ თიქეთსი

2020 წლის მდგომარეობით კომპანია ინარჩუნებს თითქმის ყველა სეგმენტის ბილეთების გაყიდვაში ლიდერის პოზიციას. თუ არ ჩავთვლით პანდემიის პერიოდის გამო შემცირებულ გაყიდვებს, რაც გამოწვეულია შემცირებული ღონისძიებებით, კომპანიის საიტის ნახვადობის მაჩვენებელი და მომხმარებელთა რაოდენობა ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. აღნიშნული ტენდენცია განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის:

- ტექნიკურად გამართული და მოსახერხებელი, მომხმარებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისის მიწოდებით. კომპანია მნიშვნელოვან დანახარჯებს სწევს ყოველწლიურად საიტის განვითარებაში, რაც მოიცავს, როგორც ახალი მოდულების დამატებას, ასევე არსებულის ვიზუალურ თუ ფუნქციონალურ დახვეწასა და გაუმჯობესებას. ასევე მომხმარებელს ვთავაზობთ გამართულ მოხილურ აპლიკაციას.
- კომპანია ძალიან უფროხილდება მის სახელსა და რეპუტაციას და ცდილობს მაქსიმალურად უზრუნველყოს მომხმარებლის ინტერესების დაცულობა იმ შემთხვევაშიც, თუ ხდება ღონისძიების გაუქმება ან გადადება ორგანიზატორის მიერ, რათა გარანტირებული იყოს მყიდველის სურვილის შემთხვევაში ბილეთის ღირებულების დაბრუნება და მომხმარებლებს ქონდეთ კომპანიის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი.
- ლოიალური კლიენტებს აქვთ შესაძლებლობა გაწევრიანდნენ კლუბში, რაც მათ აძლევთ დამატებით უპირატესობებსა და დამატებითი სერვისებით სარგებლობის უფლებას.

შპს ვენდუს

ვენდუს პორტალი წარმოადგენს ონლაინ ეკოსისტემას. მისი გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა პროცესების ერთმანეთთან სრული ინტეგრაცია და ავტომატიზაცია.

ვებგვერდზე ონლაინ ბარათებით გადახდებისათვის ინტეგრირდა ბარათების პროცესინგის ტერმინალი. განვადებების მსურველი მომხმარებლისთვის ვებგვერდზე გაეშვა თიბისის და სფეისის ონლაინ განვადებების ინტეგრაცია, რაც უზრუნველყოფს განაცხადის შევსებას და სესხზე პასუხის მიღებას ლაივ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად. ინფორმაცია მიმოიცივლება ორმხრივად ვენდუსა და ონლაინ განვადების გამცემს შორის, შესაბამისად მომხმარებლის მხარეს ავტომატურად აისახება.

პორტალისთვის შეიქმნა სასაწყობო და ლოჯისტიკის მართვის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეკვეთების ეფექტურ დამუშავებას და მიწოდებას მოკლე დროში.

ვებგვერდზე დაინტეგრირდა მომხმარებლის ჩატი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც უშუალოდ ვებგვერდზე შემოსული კომუნიკაციის, ასევე სხვა სოციალური ქსელებიდან მიღებული შეტყობინებების ერთიან სივრცეში მართვას.

ვენდუს კლიენტების სტრუქტურა შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- ~1,8 მლნ უნიკალური ვიზიტორი ვებგვერდზე
- ~150 ათასი რეგისტრირებული მომხმარებელი
- ~15 ათასი უნიკალური პროდუქცია ვებგვერდზე
- ~250 მომწოდებელი
- ~800 ბრენდი

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის განმავლობაში ჯგუფის შემოსავლები 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 100%-ით რაც წარმოადგენს გამოძახილს მენეჯმენტის განხორციელებული სწორი სტრატეგიის და დასახული გეგმების.

ჯგუფის მართავს ლიკვიდობის პოზიციას და ცდილობს მისი მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი იყოს მუდმივად შენარჩუნებული პოზიტიური, იმისათვის რომ, კომპანიას არ შეექმნას პოტენციური საოპერაციო სირთულეები ლიკვიდური ფულადი სახსრების მოხილვების კუთხით. წლის ბოლო მონაცემებით კოეფიციენტი მაჩვენებელი იყო 1.25, რაც მენეჯმენტის აზრით არის საკმარისი, იმისათვის, რომ კომპანიას არ ჰქონდეს ზედმეტი ლიკვიდობა, თუმცა აირიდოს პოტენციური სირთულეები.

ჯგუფი ამ ეტაპზე დაფინანსებას იღებს ჯგუფის დედა კომპანიისგან და ცდილობს შეინარჩუნოს დაბალი ლევერიჯი რაც მას აძლევს საშუალებას აირიდოს მაღალი ფიქსირებული საპროცენტო ხარჯები ოპერაციების საწყის ეტაპზე. წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები შეადგენს 15% მისი კაპიტალის რაც მენეჯმენტს აძლევს მეტ მოქნილობას და შესაძლებლობას რომ გრძელვადიანად სესხების მოზიდვის შედეგად კიდევ უფრო გაზარდოს ჯგუფის ფინანსური შესაძლებლობები და მხარი დაუჭიროს მის ოპერაციებს.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გამომდინარე იქედან, რომ ჯგუფი ჯერ კიდევ ოპერაციების საწყის ეტაპზეა მენეჯმენტი თვლის, რომ კიდევ ბევრი შესაძლებლობა არსებობს შემოსავლების გაზრდის და ხარჯების ოპტიმიზაციის. მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და რომ საშუალო ვადიან მომავალში შეძლებს კომპანია გავიდეს საოპერაციო მოგებაზე. პანდემიის მიუხედავად, კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი ოპერაციის საწყის ეტაპს და მენეჯმენტის რწმენით მომდევნო წლები იქნება გარდამტეხი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გასამყარებლად.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს მაი.ჯი

რესტრუქტურისაციის შედეგად 2019-2020 წლებში კომპანიის ადამიანური რესურსი დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა, რამაც სახელფასო ხარჯების საკმაოდ დიდი ზრდა გამოიწვია. ფიქსირებულ ხარჯებში აღნიშნული ზრდა კომპანიის მოგებასა და მომგებიანობის მარჯვენს ბევრად უფრო სენსიტიურ ხდის ნებისმიერი რისკის მიმართ. კომპანიისა და ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით რომ იპოვოს არაფექტური ნაწილები და იმუშაოს მათ გამოსწორებაზე.

საქართველო რეგიონში წამყვან პოზიციას იკავებს ავტომობილების რეექსპორტის კუთხით, რაშიც აქტიურად ხდება MyAuto-ს პლატფორმის გამოყენება, შესაბამისად პოლიტიკური დესტაბილიზაციითა თუ სხვა მიზეზით გამოწვეული შეზღუდვა ავტომობილების რეექსპორტზე (რომელიც 2019-2020 წლის მონაცემებით, საკმაოდ გამარტივებულია) მნიშვნელოვან ზიანს მოუტანს კომპანიას.

საგალო ვაჭრობის კუთხით მნიშვნელოვანი რისკის შემცველია საერთაშორისო გიგანტების შემოსვლა საქართველოს ბაზარზე და სოციალური ქსელების პლატფორმების დახვეწა იმ დონემდე, რომ კორპორატიული კლიენტების დაინტერესება და საკუთარ პლატფორმებზე გადაყვანა შეძლონ.

ზოგადი პოლიტიკური დესტაბილიზაცია მნიშვნელოვანი რისკების შემცველია MyHome-ის მიმართულებებისთვის, რომელიც განსაკუთრებით სენსიტიურია ქვეყანაში არსებული სამართლებრივ, უფლებრივ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე რყევების მიმართ.

მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები. თუ გახშირდება ე.წ. ფიშინგის შემთხვევები, მოხდება ხშირი და გამიზნული თავდასხმები კომპანიის ვებ-გვერდებზე, საფრთხე შეექმნება მომხმარებლების პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას, შესაძლებელია მომხმარებელმა დაკარგოს ნდობა ონლაინ სავაჭრო პლატფორმის მიმართ, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს ჯგუფის ყველა მიმართულების ფუნქციონირებას.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს ზემოთხსენებული რისკების. მათი დაიდენტიფიცირებისას ხდება რისკის შეფასება მენეჯმენტის ჯგუფის ფარგლებში და დგება სამოქმედო გეგმა თუ ჩაითვლება რომ რისკი მატერიალურია. ამის შედეგად დგება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალისგან და ხდება რისკის მიტიგაციაზე მუშაობა.

შპს ოლფროფერთი ჯი ("ლივო")

ლივო წარმოადგენს უძრავი ქონების ციფრულ ეკოსისტემას, შესაბამისად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კონდიცია და უძრავი ქონების სექტორში არსებული სიტუაცია პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის კეთილდღეობაზე. იპოთეკურ სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს უძრავი ქონების შესყიდვით დაინტერესებულ პირების რაოდენობაზე. საქართველოში არსებული კანონმდებლობით ტრანზაქციის განხორციელება ხდება ეროვნული ვალუტის მეშვეობით, თუმცა ბაზარზე არსებული ფასის ძირითადი განმსაზღვრელი, როგორც პირველადი დეველოპერული კომპანიების მიერ წარმოდგენილ ბინებზე, ასევე მეორად ბინებზე არის აშშ დოლარი, შესაბამისად ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა და გაუფასურება პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ინდუსტრიაში არსებულ მოთხოვნასთან, ტრანზაქციების რაოდენობასთან და გადახდის უნარიან მსესხებლების რაოდენობასთან, რაც ასევე არის დაკავშირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკებისთვის გაცემულ დირექტივებზე. (მაგ. PTI, LTV და სხვა სესხის გაცემასთან დაკავშირებული რეგულაციები).

ასევე, ტურიზმის სექტორის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უძრავი ქონების გაქირავების მოთხოვნის ტენდენცია.

მსოფლიო პანდემიურმა სიტუაციამ გამოიწვია უძრავი ქონების უკუგების ვარდნა, რაც ასევე არის გამოწვევი მიზეზი უძრავი ქონების შეძენის მსურველების კლების.

შპს ონლაინ თიქეთისი

მოთხოვნა კომპანიის სერვისებით მომსახურებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ გასართობ ბიზნესს უჭირავს საკმაოდ დიდი წილი საიტის საერთო გაყიდვებში და შემოსავლებში, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ ახდენს გავლენას მათ შესაძლებლობაზე ისარგებლონ მსგავსი ტიპის სერვისებით.

კომპანიის საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს მსოფლიო გლობალურმა პრობლემებმა, მეზობელი ქვეყნებში შექმნილმა ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყნის შიდა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. ვინაიდან ჩვენს მომხმარებლებს ადგილობრივებთან ერთად წარმოადგენენ უცხოელი ტურისტები და მოქალაქეები (მათ შორის განსაკუთრებით მეზობელი და ახლო ქვეყნებიდან), რომლებიც ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა მასშტაბურ კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებზე ან ფესტივალებზე დასასწრებად ან მონაწილეობის მისაღებად. ამდენად ზემოთ აღნიშნული პირობების ცვალებადობამ შესაძლოა მოახდინოს გავლენა მათ გადაწყვეტილებაზე, გამართონ, მონაწილეობა მიიღონ ან დაესწრონ ასეთ ტიპის ღონისძიებებს.

გარდა ამისა კომპანიისთვის გამოწვევას წარმოადგენს პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები, რომლის გამოც შეზღუდულია საზოგადოების გადაადგილება და თავშეყრა. თუმცა მენეჯმენტი სჯერა, რომ როგორც მსოფლიო ისე საქართველოს მასშტაბით ვაქცინაცია წარმატებით მიმდინარეობს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებას რომ დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ეს ყოველივე შედეგად მოიტანს ღონისძიებების და სხვადასხვა აქტივობების გამართვას რაც კომპანიას დაეხმარება მიაღწიოს შემოსავლის ძველ ნიშნულებს.

გარდა ამისა, რისკ-ფაქტორების მიმართ მგრძნობელობის შესამცირებლად კომპანია ცდილობს აითვისოს სხვადასხვა სემინტები და დაიმატოს ახალი მიმართულებები რომ დივერსიფიკაციის საფუძველზე მოახდინოს შემოსავლების სტაბილიზება.

ვინაიდან ონლაინ თიქეთისი წარმოადგენს შუამავალ კომპანიას, ბილეთების რეალიზაციას ახდენს ორგანიზატორის დაკვეთითა და დავალებით, ის ვერ მართავს ღონისძიების ჩატარებასთან ან გადადებასთან დაკავშირებულ რისკებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მხრიდან ბილეთის საფასურის დაბრუნების მოთხოვნა ან სხვა სახის უკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებელი არის ღონისძიების ორგანიზატორი, თუმცა რომ არ წარმოიქმნას tkt.ge-ის, როგორც ბილეთების რეალიზატორის კომპანიის მიმართ უნდობლობა, რეპუტაციული და ფინანსური ზარალი, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს დააზღვიოს ასეთ შემთხვევაში მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული რისკები, რასაც არეგულირებს ორგანიზატორთან ხელშეკრულებით და ბილეთების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს იტოვებს ღონისძიების დასრულებამდე.

შპს ვენდუს

ვენდუს სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

კიბერშეტევების საფრთხე - ვენდუს სრული ინფრასტრუქტურა განთავსებულია ონლაინ სერვერებზე, შესაბამისად არსებობს შესაძლებლობა, რომ სისტემების გამართულად და სტაბილურად ფუნქციონირებას შეეჩვენას საფრთხე. ამისათვის შერჩეულია მაქსიმალურად დაცული სასერვერო სივრცეები ინფორმაციული სისტემებისთვის, რასაც გააჩნია სხვადასხვა მოდულები კიბერ შეტევების წინააღმდეგ დაცულობისთვის. ასევე კომპანიაში არის ინფორმაციული უსაფრთხოების კადრები, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებენ სისტემების მონიტორინგს.

პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით მუდმივად ახლდება და უმჯობესდება პროცესები. არსებული მონაცემების აღდგენის პოლიტიკა უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას სერიოზული კიბერშეტევების შემთხვევაში.

მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციაზე წვდომის რისკი - მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის დაცულობა არის კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტი. მომხმარებლის პერსონალური ინფორმაცია, როგორცაა პირადი მონაცემები, საკონტაქტო და გადახდების ინფორმაცია ინახება დაცულ სერვერებზე და ვებგვერდზე შეყვანილი ეს მონაცემები დაშიფრული სახით იგზავნება პლატფორმის სისტემებს შორის. უსაფრთხოების თანამშრომლები მუდმივად აკვირდებიან, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრის მოვლენებს და ტენდენციებს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს პერიოდული განახლებები სისტემის დაცულობისთვის ახალი ტიპის შეტევებთან მიმართებაში.

თიბისი ეკოსისტემ კომპანიის ჯგუფი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მზარდი კონკურენციის რისკი - ქართულ ბაზარზე გამოჩნდა ბევრი სავაჭრო პლატფორმა, რომელიც ვენდუს მსგავსი, ონლაინ შოპინგ მოლის პრინციპით ოპერირებს, თუმცა, გაიზარდა ადგილობრივი საცალო ბაზრის ძირითადი მოთამაშეების ონლაინ აქტივობა. ყველა ასეთ კომპანიას უკვე აქვს საკუთარი ციფრული პლატფორმები, როგორც გაყიდვების დამატებითი არხი, და ეს კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მეტად განვითარდება. აგრეთვე, კონკურენტებთან მიმართებაში ვენდუს არ აქვს უნიკალური პროდუქტები, კომპანია არ წარმოადგენს პროდუქციის შემომტანს ქართულ ბაზარზე, საქმიანობის პრინციპიდან გამომდინარე. ამ რისკთან გამკლავებისთვის, კომპანიას შემუშავებული აქვს პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდის სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს მაქსიმალურად დივერსიფიცირებული პროდუქცია შესთავაზოს მომხმარებელს და ამრიგად მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა სხვა მოთამაშეებთან შედარებით.

მენეჯმენტი აქტიურად არის ჩართული რომ კიდევ უფრო დახვეწოს და გააუმჯობესოს ჯგუფის ეფექტურობა საოპერაციო რისკების, შესაბამისობის და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებით. ამ კუთხით დაწყებულია მნიშვნელოვანი სამუშაო პროცესი და მენეჯმენტის გეგმით 2021 წლის ბოლომდე დაკომპლექტდება გუნდი, რომელიც დაფარავს ზემოთ ხსენებულ მიმართულებებს.

მმართველობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2021 წლის 1 ოქტომბერს, ჯგუფის დირექტორის მიერ:

დირექტორი



გიორგი ჩუმაშვილი